562/4-1/21 2 26012021

562/4-1/21
26-01-2021

ასპინძის მუნიციპალიტეტს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა **„პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“.** თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

თემატური მოკვლევის „პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ ფარგლებში თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეისწავლა სამთავრობო პოლიტიკა, სტრატეგიები და ადგილობრივი პოლიტიკა ქალებისთვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით. თემატური მოკვლევის ანგარიშში წარმოდგენილი მიგნებები ეფუძნება მოკვლევის მრავალმხრივი ჩართულობით წარმართულ პროცესს, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც წერილობითი მოსაზრებები, ისე - საქართველოს პარლამენტში გამართული ორი ზეპირი მოსმენის შედეგები და პროფესიულ განათლებაზე უკვე არსებული კვლევები.

ანგარიშში მოცემულია ის დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს ჩაერთონ პროფესიული განათლებისა და გადამზადების პროგრამებში. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ განათლებაში ჩართული ქალებისა და კაცების თანაფარდობა მკვეთრად განსხვავებული არ არის (ქალები - 43%), გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. ერთი მხრივ, პროფესიული განათლების სფეროში კაცებისთვის მთავარი დაბრკოლებაა ის ფაქტი, რომ პროფესიული სასწავლებლის სტუდენტობა მათ არ ათავისუფლებს სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან და ამის გამო წვევამდელი ასაკის კაცები უარს ამბობენ პროფესიულ განათლებაზე (ან ფორმალურად არიან ჩარიცხული უმაღლეს სასწავლებლებში და პარალელურად ეუფლებიან პროფესიულ განათლებას), მეორე მხრივ, არსებული ბარიერების გამო ქალები არ ერთვებიან პროფესიული სწავლებისა და გადამზადების სისტემაში. აუცილებელია განვასხვავოთ 15-24 წლის გოგონებისა და ზრდასრული ქალების ჯგუფების განსხვავებული მდგომარეობა. ზრდასრული ქალებისთვის ბევრად ხელსაყრელია მომზადებისა და გადამზადების კურსები, მათი ხანგრძლივობიდან და დასაქმებისთვის საჭირო პროფესიის სწრაფად დაუფლების პერსპექტივიდან გამომდინარე.

მოკვლევის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებების შესაბამისად მუნიციპალიტეტების მიმართ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. მიმდინარე დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების კონტექსტში აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გათვალისწინება. კერძოდ, ადგილობრივ დონეზე უნდა გადაიჭრას ტრანსპორტირების, მუნიციპალური

ტრანსპორტის, ბაღების, სკოლებისა და სასწავლებლების ინფრასტრუქტურული საკითხი.

2. საჭიროა ეფექტურად იყოს გამოყენებული ბავშვთა ოთახებზე უკვე არსებული წარმატებული პრაქტიკა (კაჭრეთი, ზუგდიდი) და, ამ მხრივ, მუნიციპალიტეტებმა გამოიყენონ ქალთა ოთახების არსებული რესურსი.
3. საჭიროა დაინერგოს სტიპენდიების პრაქტიკა, რაც მეტად გააძლიერებს გოგონებსა და ქალებს პროფესიის დაუფლების ეტაპზე.
4. აუცილებელია, შეღავათებისა და უპირატესობის მხრივ გათანბაბრდნენ უმაღლესი სასწავლებლებისა და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები, რაც გაზრდის პროფესიული განათლების პრესტიჟს და გააუმჯობესებს სტუდენტების სოციალურ მდგომარეობას.
5. პროფესიული სასწავლებლებისთვის აუცილებელია დუალური პროგრამების დანერგვა (ბიზნესთან თანამშრომლობით), საერთო საცხოვრებლის ქონა, ფიზიკური ხელმისაწვდომობა (ფილიალები), რათა უფრო მიმზიდველი გახდეს პროფესიული განათლება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა **„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სრვისების მისაწვდომობის შესახებ“.** თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიზანი იყო სამთავრობო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების ჩართულობისა და არსებული სამედიცინო მომსახურებების შესწავლა, რათა ხელი შეეწყოს შშმ ქალებისა და გოგონების ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილ რეალიზაციას. ამასთანავე, მოკვლევის ფარგლებში შშმ ქალებისა და გოგონების მიერ გამოვლინდა ის სერვისები თუ პროგრამები, რომლებიც მათი ავტონომიურობის მაქსიმალურად მაღალი ხარისხის მიღწევას შეუწყობს ხელს და უზრუნველყოფს მათი ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილ რეალიზაციას. მოკვლევის შედეგად შემუშავდა მთელი რიგი რეკომენდაციები და წინადადებები საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისთვის. ასევე გამოიკვეთა მიგნებები ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების საქმიანობასა და პრიორიტეტებთან დაკავშირებით.

მოკვლევის ფარგლებში თქვენი უწყების მიმართ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. განხორციელდეს სატრანსპორტო საშუალებათა და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, საჭიროების შემთხვევაში კი ამ პირთა ინტერესების გათვალისწინებით შეიძინონ ახალი სატრანსპორტო საშუალებები.
2. დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობის პროცესში ეფექტური აღსრულებისა და ზედამხედველობის მექანიზმი. მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებლობისა და პროგრამების შემუშავებისას ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მაქსიმალურად იქნეს

უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალების ჩართულობა.

3. შემუშავდეს მხარდამჭერი პროგრამები შშმ პირების ოჯახის წევრებისთვის.
4. მუნიციპალური სპორტული დარბაზები მოერგოს უნივერსალური დიზაინის პრინციპს.
5. ღია ცის ქვეშ არსებული მუნიციპალური სპორტული კუთხეები (ე.წ. სპორტული დარბაზები ღია ცის ქვეშ) მოერგოს უნივერსალური დიზაინის პრინციპს.

მოცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია თვითოეული რეკომენდაციის შესრულების მიზნით რა ღონისძიებები განახორციელა უწყებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე გთხოვთ, მიუთითოთ ის რეკომენდაციები რომელთა შესრულებაც რელევანტური აღარ არის, ვინაიდან შესაბამისი არგუმენტაციის გათვალისწინებით არ არის მიზანშეწონილი ან/და სხვა ტიპის ღონისძიებებით უკვე მიღწეულია დასახული მიზანი. ასევე, გთხოვთ, გვაცნობოთ ის შეუსრულებელი რეკომენდაციები, რომლებზეც უწყება სამომავლოდ გეგმავს მუშაობას.

დანართი:

(1) „პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ თემატური მოკვლევის ანგარიში - 37 (ოცდაჩვიდმეტი) გვერდი.

(2) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისებზე მისაწვდომობის შესახებ“ თემატური მოკვლევის ანგარიში - 70 (სამოცდაათი) გვერდი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილოსანი

საქართველო
ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF ASPINDZA MUNICIPALITY

საქართველო. 0500 ასპინძა, მეფე თამარის ქ.№3

N 273/11
10/02/2021

273-11-2-202102101701

საქართველოს პარლამენტის წევრს

ქალბატონ ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2021 წლის 26 იანვრის N 562/4-1/21 წერილის პასუხად, რომელიც ეხება თემატური მოკვლევის ფარგლებში მუნიციპალიტეტების მიმართ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებას, გაწვდით სრულ ინფორმაციას აღნიშნულის თაობაზე, დანართის სახით 4 (ოთხი) ფურცლად.

პატივისცემით,

როსტომ მაგრაქველიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2020 წლის 14 აგვისტოს N 17 დადგენილების საფუძველზე დამტკიცდა ასპინძის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს ასპინძის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების გენდერულ პოლიტიკას და გენდერული თანასწორობის მიზნის მისაღწევად პრიორიტეტულ მიმართულებებს.

ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება ადგილობრივი მოქალაქეების საჭიროებების შესაბამისად, თვითმმართველობის პროცესში ქალთა და მამაკაცთა საჭიროებებისა და ინტერესების თანასწორი გათვალისწინებით.

სტრატეგია ითვალისწინებს ერთობლივ მიდგომას თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, შესაბამისი სამსახურების საქმიანობის უზრუნველყოფას გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ქალის და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობისათვის აუცილებელი გარემოს შექმნას, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე, განათლების, კულტურის და სოციალური მიმართულებით.

2018-2019 წლების მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის თვითშეფასების და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)-ის ექსპერტის მიერ ჩატარებული მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა საჭიროებების კვლევის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ექვსი ძირითადი მიმართულება.

საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგიის ამ მართულებებიდან გამოვყოფდით იმ სამ ძირითად მიმართულებას, რომლებიც შესაბამისობაშია მოკვლევის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებების შესაბამისად მუნიციპალიტეტების მიმართ შემუშავებულ რეკომენდაციებთან, კერძოდ:

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგიის II თავის მე-3, მე-4 და მე-5 მუხლები.

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

1. გენდერული ბიუჯეტი - მოიცავს:

ა) მუნიციპალიტეტის შემოსავლებისა და ხარჯების გაანალიზებას სქესთან მიმართებაში, თუ რა განსხვავებულ გავლენას ახდენს ქალებისა და კაცების ცხოვრებაზე ბიუჯეტის ხარჯები თუ შემოსავლები;

ბ) პრიორიტეტების განსაზღვრას გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, საბიუჯეტო რესურსების რესტრუქტურიზაციას გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით;

გ) გენდერული ასპექტების გათვალისწინებას საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე;

დ) ჩატარებული კვლევის შედეგად, მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებით, გენდერულად მგრძნობიარე პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცებას.

2. გენდერული ასპექტის გათვალისწინებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის სპეციალურ მუნიციპალური პროგრამათა შემუშავება და განხორციელება – მოიცავს:

ქალებისა და მამაკაცებისათვის საწარმოო რესურესებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ბიზნეს საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის საჭიროებების გამოვლენას, შესაბამისი პროგრამების (საგანმანათლებლო, პრაქტიკული უნარების განვითარების) შემუშავებასა და განხორციელებას; დასაქმების ბაზარზე ქალთა კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, შესაბამისი პირობების შექმნას და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებთან მათი ადაპტაციის ხელშეწყობას.

3. მუნიციპალიტეტის საწარმოებსა და დაწესებულებებში კონტროლის მექანიზმების დახვეწა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის

კოდექსით“ დადგენილი ანტიდისკრიმინაციული ნორმების დაცვაზე და შრომის ანაზღაურების სფეროში გენდერული დიფერენციაციის აღმოსაფხვრელად – მოიცავს:

როგორც ქალების, ისე კაცებისათვის სამსახურებრივი და ოჯახური ცხოვრების შეთავსების შესაძლებლობების შექმნის მიზნით, ღონისძიებათა დაგეგმვას და შესაბამისი მექანიზმების დამკვიდრებას.

4. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება - მოიცავს:

ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე და პოლიტიკურ პროცესებში მათი ჩართულობის სტიმულირებაზე ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამების შექმნას.

5. გენდერული თანასწორობის მისაღწევად საჭირო ღონისძიებების შესაბამისი საბიუჯეტო უზრუნველყოფა - მოიცავს:

მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით შესაბამისი ხარჯების ასახვას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მუხლი 4. კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

1. კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური პროგრამების დანერგვა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ორივე სქესის წარმომადგენელთათვის - მოიცავს:

კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში მუნიციპალური პროგრამების გენდერული ანალიზის შედეგად, მუნიციპალიტეტში მცხოვრები განსხვავებული სქესის, ასაკობრივი, თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული პროგრამების შემუშავებას.

2. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესებზე, მათ შორის განსხვავებული სქესის, ასაკობრივი ან/და შესაძლებლობების მქონე ჯგუფების ინტერესებზე მორგებული, კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა - მოიცავს:

ა) მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლას;

ბ) არსებულ თუ შემდგომში დაგეგმილ კულტურულ და სპორტულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობისა და მოსახლეობის საჭიროებების კვლევას გენდერულ ჭრილში;

გ) კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისი კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობას.

3. სოფლად მცხოვრებ ქალთა და გოგონათა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა - მოიცავს:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ქალებისა და გოგონების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის კვლევას;

ბ) კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების გათვალისწინებით ქალთა და გოგონათათვის პროფესიული განათლების ხელშემწყობი მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

მუხლი 5. სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის გათვალისწინება და სოციალურად მგრძნობიარე ჯგუფების ინტეგრაცია გულისხმობს, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და გენდერულად დაბალანსებული სოციალური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, გენდერულ ასპექტთა

გათვალისწინებას მოწყვლად ჯგუფთა სოციალური გააქტიურების ხელშესაწყობად, სოციალური ფონის გაუმჯობესებას და პროგრამებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას.

1. პრიორიტეტული პროგრამების გათვალისწინება სოციალურ პაკეტში - მოიცავს:

ა) მუნიციპალიტეტის შეჭირვებული და მოწყვლადი მოსახლეობის საჭიროებების კვლევას გენდერულ ჭრილში;

ბ) სოციალური პაკეტით გათვალისწინებული პროგრამებით მოსარგებლეთა კვლევას გენდერულ ჭრილში;

გ) კვლევის შედეგების საფუძველზე სოციალური პაკეტით განსაზღვრული პროგრამების პრიორიტეტების განსაზღვრას და საჭიროების შემთხვევაში ახალი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

ინფრასტრუქტურული მიმართულებით მუნიციპალიტეტში განხორციელდა ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ ოთხი საბავშვო ბაღიდან, სამი საბავშვო ბაღის, კერძოდ: ასპინძის N1 და N2, სოფელ ტოლოშის ბაღების სრული რეაბილიტაცია, დაგეგმილია მეოთხე სოფელ რუსთავის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაციაც.

ასპინძის მუნიციპალიტეტში გაშენდა შშმ პირებისთვის ადაპტირებული შემდეგი შენობა ნაგებობები: სოფ. ნიჯგორის, ვარძიის, სოფ.აწყვიტის, სოფ. ოთის, ამბულატორიები. დაბა ასპინძის, სოფ.ძველის, სოფ. თმოგვის, სოფ. ოშორის, სოფ. ტოლოშის, სოფ. ხიზაბავრის, სოფ. ივერიის და სოფ. რუსთავის სკოლების საპირფარეშოები. განხორციელდა და ამჟამადაც მიმდინარეობს მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სრული რეაბილიტაცია განხორციელდა და შშმ პირებისთვის ადაპტირებული სივრცეები მოეწყო: სოფელ ჭობარეთის, სოფ. ოშორის, სოფ. რუსთავის, სოფ. ნაქალაქევის, სოფ. თმოგვის ამბულატორიებში და დაბა ასპინძის კულტურის ცენტრში.

განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირებაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, კერძოდ: დაბაში ტროტუარების მოწყობისას. დაგეგმილია ასპინძის გართობისა და დასვენების პარკის სრული რეაბილიტაცია სადაც ასევე პროექტში გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტირებული სივრცის მოწყობაც.

მომავალშიც მუნიციპალიტეტი კვლავ გააგრძელებს განხორციელებულ პროექტებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობის /სამშენებლო სტანდარტების დანერგვის პროცესზე მონიტორინგის.

რაც შეეხება სატრანსპორტო საშუალებათა ადაპტირებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურეობის სერვისი. მუნიციპალიტეტებს შორის სატრანსპორტო მომსახურეობა ხორციელდება კერძო კომპანიისა და კერძო პირების სატრანსპორტო საშუალებებით.

ასევე ავღნიშნავთ იმ გარემოებას,რომ დღეისათვის მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს პროფესიული სასწავლებელი ან მომზადებისა და გადამზადების კურსები.

2015 წელიდან ასპინძაში გახსნილია მუნიციპალური სერვისი - „ქალთა ოთახი", მისი მიზანია, ქალებისთვის ინფორმაციისა და სერვისების მიწოდება, ქალთა ცნობიერების ამაღლების მხარდაჭრა და აგრეთვე, ქალთა მონაწილეობის გაზრდა სათემო და მუნიციპალურ დონეებზე გადაწყვეტილებების მიღებაში. „ქალთა ოთახის" მთავარი ფუნქციაა მუნიციპალიტეტში მისული ქალის დახმარება და მისთვის კონსულტაციის გაწევა სხვადასხვა მუნიციპალური სერვისის შესახებ. დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია, სასურველი ინფორმაცია მიიღოს ქალთა ოთახში

არსებული ბიბლიოთეკისა და ინტერნეტის გამოყენებით. ამასთანავე ქალთა ოთახი საშუალებას აძლევს, სხვადასხვა არასამთავრობო თუ კერძო სექტორის წარმომადგენლებს, გამოიყენონ არსებული სივრცე შეხვედრების მოსაწყობად, რაც თავის მხრივ, ქმნის დამატებით სარგებელს ქალთა ოთახის ვიზიტორებისთვის ინფორმაციისა და სხვადასხვა იდეების გაზიარების კუთხით.

სერვისი ფინანსდება ადგილობრივ ბიუჯეტიდან და გამოყოფილია ქალთა ოთახის მენეჯერის საშტატო ერთეულიც.

ზემოთ აღნიშნული სტრატეგიის საფუძველზე განხორციელებული კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების გათვალისწინებით შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მხრიდან ბავშვთა ოთახთან დაკავშირებით გამოყენებული იქნეს ქალთა ოთახის არსებული რესურსი.